თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 04

29 მარტი 2022 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 34 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე -

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	**მამუკა ბურდიაშვილი;**
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	**მიხეილ დაღუნდარიძე;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ლევან ბერძენაშვილი;**
საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**ზურაბ ლილუაშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი ხაჭაპურიძე;**
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე	**ლევან კოჭლოშვილი;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**თინათინ ხანჯალიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**
საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე	**ალექსი ძულიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილეები: **თამარ ხატიაშვილი, ოთარ ესიტაშვილი, ზურაბ მუსაევი, უჩა ჭოტიაშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეები: **გელა ჭვრიტიძე, გიგი გიგიტელაშვილი.**

საკრებულოს წევრები: **ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, გივი ლაფაური, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, ბაადურ გულიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ნინო ომანიძე, იმედა კევლიშვილი, ივანე დალაქიშვილი, ნატალია ბახსოლიანი, ზვიადი ხანჯალიაშვილი, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზ ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი** (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელი **დავით ქსოვრელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ელენე ფროდეული;**

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის ოფისის ხელმძღვანელი **მარეხი მგალობლიშვილი;**

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები;

მოქალაქე: მაკა მოსიაშვილი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

   მომხს. ნ.მეტრეველი
   თანამომხს. დ.ქსოვრელიშვილი
   12.00სთ-დან - 12.20სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

   მომხს. ნ.მეტრეველი
   თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
   12.20სთ-დან - 12.40სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

   მომხს. ლ.ბერძენიშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

ე.ფროეულმა სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხები:

1. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

ნ.ვაყელიშვილმა **სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხი:** 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე- ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. დ.ქსოვრელიშვილი
12.00სთ-დან - 12.20სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **გ.გიგიტელაშვილმა** აღნიშნა, რომ სტიქიამ დააზიანა სოფელ კურდღელაურში კულტურის სახლის შენობა, სადაც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში იგეგმება სპორტული დარბაზის მოწყობა, ამიტომ აუცილებელია დროულად მოხდეს სახურავის შეკეთება.

მოქალაქე მ.მოსიაშვილმა დასვა კითხვა სოფელ თეთრწყლებში საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვის სამუშაობთან დაკავშირებით.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 30(ოცდაათი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 04(ოთხი) წევრმა: **ა.ძულიაშვილმა, გ. ჭვრიტიძემ, რ.ჩეკურიშვილმა, ზ.გრიშიკაშვილმა).**

პირველი საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დატოვა საკრებულოს წევრმა ზ.გრიშიკაშვილმა.

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.20სთ-დან - 12.40სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ა.ძულიაშვილმა** დასვა კითხვა ქონების გადასახადის ოდენობასთან დაკავშირებით თუ რამ გამოიწვია ჭარბი შემოსავლები.

მოქალაქე მ.მოსიაშვილმა კი დასვა კითხვა შმოსულობების გეგმის გადაჭარბებასთან დაკავშირებთ.

ზ.გულიაშვილმა დასვა კითხვა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებიდან შემოსულ თანხებთან დაკავშირებით.

შეკითხვებზე განმარტებები გააკეთა მომხსენებელმა.

<u>დაადგინეს:</u> **თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.**

(აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25(ოცდახუთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 08(რვა) წევრმა: **ა.ძულიაშვილმა, გ.გიგიტელაშვილმა, რ.იმერლიშვილმა, ზ.ხანჯალიაშვილმა, ა.კუპატაძემ, ნ.ომანიძემ, გ. ჭვრიტიძემ, რ.ჩეკურიშვილმა)** .

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
12.40სთ-დან - 12.50სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27(ოცდაშვიდი)წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 06(ექვსი) **წევრმა: ზ.ხანჯალიაშვილმა, ა.კუპატაძემ, ნ.ომანიძემ, გ.ჭვრიტიძემ, რ.ჩეკურიშვილმა, ი.დალაქიშვილმა)** .

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
12.50სთ-დან - 13.00სთ-მდე

დაადგინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით(M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს **2022 წლის 20 აპრილამდე.**

2.თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზემგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად **2022 წლის 01 მაისამდე.**

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 28(ოცდარვა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 05(ხუთი) **წევრმა: ა.ძულიაშვილმა, გ.ჭვრიტიძემ, ი.დალაქიშვილმა, ნ.ომანიძემ, რ.ჩეკურიშვილმა).**

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.00სთ-დან - 13.10სთ-მდე

დაადგინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს **2022 წლის 20 აპრილამდე.**

2.თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - **2022 წლის 01 მაისამდე.**

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 28(ოცდარვა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 05(ხუთი) **წევრმა: ა.კუპატაძემ, ნ.ომანიძემ, ზ.ხანჯალიაშვილმა, გ.ჭვრიტიძემ, რ.ჩეკურიშვილმა).**

6.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ე.ფროდეული
13.10სთ-დან - 13.20სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **თავმჯდომარემ** საკრებულოს წევრებს მოუწოდა აქტიურად ჩაერთონ მუნიციპალური ტრანსპორტის რეგულირებასთან დაკავშირებული პროექტების განხილვაში.

დაადგინეს: 1.თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ - ნორმატიული აქტისპროექტის განხილვა განხორციელდეს **2022 წლის 20 აპრილამდე.**

2. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - **2022 წლის 01 მაისამდე.**

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 29(ოცდარვა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 04(ოთხი) **წევრმა: ნ.ომანიძემ,გ.ჭვრიტიძემ,რ.ჩეკურიშვილმა, ი.დალაქიშვილმა).**

7.მოისმინეს: ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ე.ფროდეული
13.20სთ-დან - 13.30სთ-მდე

დაადგინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ- ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს **2022 წლის 20 აპრილამდე.**

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლისმე-4 ნაწილის „ა"ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ - დადგენილების პროექტი საკრებულოსწარედგინოს დასამტკიცებლად - **2022 წლის 01 მაისამდე.**

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 29(ოცდარვა) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 04(ოთხი) **წევრმა: ა.კუპატაძემ, რ.ჩეკურიშვილმა, ი.დალაქიშვილმა, გ.ჭვრიტიძემ).**

8.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე- ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
13.30სთ-დან - 13.40სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ლ.კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის ბავშვებისათვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალება უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ბავშვებს, ამიტომ მძღოლებს უნდა განემარტოთ, რომ დაუშვებელია მოემსახურონ სხვა მოქალაქეებს, როცა გადაყავთ ბავშვები.

დაადგინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს **2022 წლის 20 აპრილამდე.**

2.თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №03 დადგენილებაში„თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - **2022 წლის 01მაისამდე.**

დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26(ოცდაექვსი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 07(შვიდი) **წევრმა: რ.ჩეკურიშვილმა, ა.კუპატაძემ, გ.ჭვრიტიძემ, ი.კევლიშვილმა, ნ.ომანიძემ, ი.დალაქიშვილმა, ა.ძულიაშვილმა).**

საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზი მთვარელიშვილი